# საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

# ბრძანება №31/ნ

**2024 წლის 15 თებერვალი**

**ქ.თბილისი**

**„საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილის ან მოვალეობის სხვა შემსრულებლის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის №147/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N3822-XIIIმს-Xმპ; 30/11/2023) შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილის ან მოვალეობის სხვა შემსრულებლის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 7 ნოემბრის №147/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 10/11/2014, სარეგისტრაციო კოდი: 430050000.22.022.016882) პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილის ან მოვალეობის სხვა შემსრულებლის რეგისტრაციის წესის“:

**1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) მიერ დირექტორის, ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შემთხვევაში მართვის სისტემა რეგისტრაციას უზრუნველყოფს დირექტორის დანიშვნის შესახებ მინისტრის ბრძანების საფუძველზე.“

**2. მე-3 მუხლის:**

**ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) მინისტრის ბრძანების საფუძველზე სკოლის დირექტორის გათავისუფლების შემთხვევაში, მინისტრის ბრძანება, სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.“;

**ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. მინისტრის მიერ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უფლებამოსილების შეწყვეტის რეგისტრაციას მართვის სისტემა უზრუნველყოფს – სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გათავისუფლების შესახებ მინისტრის ბრძანების საფუძველზე.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების,**
**მეცნიერებისა და ახალგაზრდობის** **გიორგი ამილახვარი**
**მინისტრი**